ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება
№ VW-07-07/13

ქ. თბილისი 17/07/2013 წ.

ერთისმხრივ შპს ,,იბერია ავტო", მისი დირექტორის ალექსანდრე ხუციშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ შპს ,,მარაბდა-კარწახის რკინიგზა", მისი დირექტორის ირაკლი წულაიას სახით შემდგომში "შემსყიდველი" ადასტურებენ, რომ საქართველოს მთავრობის 27.12.2011წ. #498 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზისთვის" მომსახურებისა და საქონლის შესყიდვის სპეციალური წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი ყიდის, ხოლო შემსყიდველი ყიდულობს მიმწოდებელის საკუთრებაში არსებულ 2 (ორი) ერთეული **Volkswagen Amarok**-ის მარკის ავტომობილს (შასის ნომრებით: **WV1ZZZ2HZDH008212; WV1ZZZ2HZDH008684;**) ავტომობილის მახასიათებლები მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართი #1-ში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

2.1.1 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი, რაც გულისხმობს:

ა: ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, არ ადევს ყადაღა, არ არის დატვირთული რაიმე ვადებულებით, არ აქვს დაფარული ნაკლი, მესამე პირს არ შეიძლება ქონდეს რაიმე პრეტენზია ნასყიდობის საგნის მიმართ, იგი არ წარმოადგენს თანასაკუთრების საგანს, არავის არ გააჩნია უპირატესი შესყიდვის და სხვა სამართლებრივი უფლებები;

ბ. საქონლის ხარისხი მხარეთა შორის შეთანხმებულია.

2.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ტექნიკური საბუთები ტექნიკური აღჭურვილობით;

2.1.3 გადასცეს შემსყიდველს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს ნასყიდობის საგნის უფლებრივ და უნაკლო მდგომარეობას. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

.2.1.4 თუ საქონელი აღმოჩნდება დაფარული ნაკლის მქონე, გამოასწოროს ეს ნაკლი შემსყიდველის მიერ პრეტენზიის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

2.1.5 უზრუნველყოს ნასყიდობის საგნის გადაფორმება შემსყიდველის სახელზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში სახელმწიფო რეგისტრაციის იმ ნომრით, რომელსაც შეარჩევს თავად შემსყიდველი (არაუმეტეს 300 ლარის ღირებულების);

2.2 *შემსყიდველი ვალდებულია:*

2.2.1 მიიღოს მიმწოდებელისგან ნასყიდობის საგანი და ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით;

2.2.2 გადაიხადოს ხელშეკრულების ფასი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით;

2.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს მიმწოდებელისაგან საქონლის ფარული ნაკლის გამოსწორება; თუ არ მოითხოვს ნაკლის გამოსწორებას, მას უფლება აქვს მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი;

2.4 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

2.5 თითოეული მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულება და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

3. ნასყიდობის საგნის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

3.1 ნასყიდობის საგნის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი;

3.2 ნასყიდობის საგნის მიწოდების ვადაა 2013 წლის 17 ივლისი;

3.3 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმდებიან, ადასტურებენ და აცხადებენ, რომ მათ მიერ შსს-ს მომსახურების სააგენტოში წარდგენილი ერთობლივი განცხადება ნასყიდობის საგანზე სარეგისტრაციო მოწმობის მისაღებად არ წარმოშობს საკუთრების უფლებას. შემსყიდველისთვის ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაცემა დასტურდება მხოლოდ ნასყიდობის საგნის ფაქტიური

ჩაბარებით (გადაცემით) შემსყიდველის პირდაპირ მფლობელობაში, მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

4.1 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **68800** (სამოცდარვაათასრვაასი) აშშ დოლარს (ერთეული ავტომობილის ღირებულება შეადგენს 34400 აშშ დოლარს) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის ასევე წასყიდობის საგნის შემსყიდველის სახელზე გადაფორმების ხარჯები (სარეგისტრაციო მოწმობის და სერიული სახელმწიფო ნომრის ღირებულება (არაუმეტეს 300 ლარის ღირებულების)).

4.3 მხარეთა შეთანხმებით, შემსყიდველი ხელშეკრულების ღირებულებას დაფარავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. თანხა გადახდილად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ გადარიცხვის მომენტიდან.

4.4 მხარეთა შეთანხმებით, ანგარიშსწორება მოხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით (ლარი) გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსით;

4.5 ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ფორმით.

5. საგარანტიო პირობები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განსაზღვროს მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის პერიოდი 2 კალენდარული წლის ვადით (საგარანტიო პერიოდი);

5.2 გარანტიის პირობები და ვადები განისაზღვრება საგარანტიო ტალონით, რომელიც გადაეცემა შემსყიდველს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 თუ, შემსყიდველი დაარღვევს 4.3 ნაწილით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

6.2 თუ, მიმწოდებელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე;

6.3 პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არა ვალდებულებას, რაც მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს;

6.4 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით ან საგარანტიო ტალონით განსაზღვრულ ვალდებულებებს შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველდღიურად ხსენებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებამდე, მიმწოდებელ

6.5 თუ, შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ დასაბუთებული მიზეზით უარს იტყვის შეკვეთილი ავტომობილის შეძენაზე და მოითხოვს წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, მას წინასწარ გადახდილი თანხა უკან არ დაუბრუნდება;

6.6 თითოეული მხარე ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვადებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;

6.7 მიმწოდებელს პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე და გადაცემული დოკუმენტების წამდვილობაზე;

6.8 მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისღი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერის დღესვე წარედგინება სსიპ „მომსახურების“ სააგენტოს ავტომობილის ნასყიდობის სახელმწიფო რეგისტრაციის მიზნით.

7.3. მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8. დავები

8.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით;

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეთა შეთანხმებით, თუ ადგილი ექნება ფორს-მაჟორს (ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემიები, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, და ა.შ) და ამ მიზეზით მხარე ვერ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების პირობების დარღვევად;

9.2 ფორს-მაჟორის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ასეთი გარემოების დადგომიდან 48 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ და გამონახოს ვალდებულების შესრულების ალტერნატიული გზები;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებები უწყვეტად გრძელდება 30 დღის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება წერილობითი ურთიერთშეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს შემსყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა მთლიანად..

10. განსაკუთრებული პირობები

10.1 ნასყიდობის საგნის გადაცემასთან ერთად შემსყიდველზე გადადის ნასყიდობის საგნის შემთხვევითი დაღუპვის და დაზიანების რისკი.

11. დამატებითი დებულებები

11.1 ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს;

11.2 ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში;

11.3 ყველა ხელშეკრულება ამ შეტყობინებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე ან ჩაბარდა ხელზე;

11.4 ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა;

11.5 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „იბერია ავტო"	შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა"
საიდენტიფიკაციო კოდი: **236098129**	საიდენტიფიკაციო კოდი: **204522436**
გენერალური დირექტორი: ალექსანდრე ხუციშვილი	დირექტორი: ირაკლი წულაია
მისამართი: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა	მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.150
ტელ: **(+995 32) 224 11 11**	ტელეფონი: **256 31 75**
ბანკი: ს/ს „საქართველოს ბანკი"	
ანგარიშის ნომერი: **GE98BG0000000230469300**	
ბანკის კოდი: **BAGAGE22**	
მიმწოდებელი (ხელმოწერა)	შემსყიდველი (ხელმოწერა)

Volkswagen Amarok 4X4 MY2013

Das Auto.

ძრავი:2,0ლ.დიზელი 103კვტ (140ც.ძ.)	Engine:2,0l Diesel103kW (140PS)
გადაცემათა კოლოფი:6საფ.მექანიკა	Gearbox:6 Step Manual
ფერი:ვერცხლისფერი მეტალიკი	Color:Silver Metallic
სავარძლების მატერია:ნაჭრის სალონი	Cover of the Seats:Velour Seat-covering
საბურავები:ალ. დისკები "ALDO" R17 245/65	Wheels:Light-Alloy wheels "ALDO" R17 245/65
ზომები:სიგრძე:5181; სიგანე:1954; სიმაღლე:1834.	Size:length:5181; Width:1954; Height:1834.
საშუალო წვა:8.0ლ	Fuel Consumption (Combined):8.0 L

აღჭურვილობა:	Equipment:
- 3-ადგილიანი სავარძელი სალონის უკანა ნაწილში	- Seat for 3 persons (in rear cab)
- წინა ბამპერები ავტომობილის ფერში (ქრომის დეკორაციით)	- Front bumpers in body color (with chrome decoration)
- გარეთასარკეები ქრომის დეკორაციით	- Exterior mirrors with chrome decoration
- ელ. რეგულირებადი და თბობადი გარეთა გვერდითი სარკეები	- Exterior mirrors, electrically operated and heated
- რეზინის იატაკი სალონის წინა და უკანა ნაწილში	- Rubber floor
- მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა ABS +ASR, EDS	- Antilock braking system ABS +ASR, EDS
- ნაირ ბალიში (მძღოლისა და გვერდითა მგზავრის-წინა, გვერდითა და თავის აირ ბალიშები)	- 6 Airbags (For driver and front passenger - front- side and head airbags)
- ელ. მართვადი შუშები ოთხივე კარზე	- Electrical adjustable windows (for all dors)
- მექანიკურად რეგულირებადი წინა სავარძლები	- Manual adjustable front seats
- სათადარიგო საბურავი ალუმინის დისკით	- Spare wheel with original equipment tire
- ჭანჩი და დომგრატი	- Tool kit
- საფეხური უკანა ბამპერზე (ქრომირებული)	- Footstep on rear bumper (chromed)
- რადიოსისტემა "RCD 310"6-ხმის გამაძლიერებელი, CD-Player MP3	- Radio "RCD 310" with CD -player incl. MP3
- 2 ზონიანი კლიმატ-კონტროლი	- Climate control 2 zone
- მულტიფუნქციონალური მაჩვენებელი /ბორდკომპიუტერი	- Multifunction display /Boardcomputer
- ტყავის საჭე	- Leather steering wheel
- წინა სანისლე ფარები	- Front fog lights
- ცენტრალური ჩაკეტვის სისტემა	- Central locking system
- მაფრთხილებელი სამკუთხები და პირველადი დახმარების აფთიაქი	- Warning triangle and first aid kit
- ტენტი	
- პლასმასის „ვანა"	
- **გარანტია: 2 წელი გარბენის შეუზღუდავად**	- **Warranty: 2 Years with no millage restriction**

ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში

მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-15 კმ.; ტელ.: +995 322 241111; www.volkswagen.ge; info@volkswagen.ge

ა ქ ტ ი

ქონების გადაცემაზე

2013 წლის 17 ივლისს გაფორმებული № **VW-07-07/13** ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები:

ერთისმხრივ შპს „იბერია ავტო", მისი დირექტორის ალექსანდრე ხუციშვილის სახით როგორც - "გამყიდველი" და
მეორესმხრივ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა", მისი დირექტორის ირაკლი წულაიას სახით როგორც -"მყიდველი".

ადასტურებენ, რომ ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგანი - 2 ერთეული ავტომობილის ფოლკსვაგენ ამაროკის (ლათინურად - Volkswagen Amarok) (შასის ნომრებით:**WV1ZZZ2HZDH008212; WV1ZZZ2HZDH008684**) გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა მიიღო საკუთრებაში.

მხარეები აგრეთვე ადასტურებენ, რომ ნასყიდობის საგანი სრულად აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (შეთანხმებული ხარისხისაა და არ გააჩნია ნაკლი) და მყიდველს არ გააჩნიათ რაიმე დამატებითი მოთხოვნა ნასყიდობის საგნთან დაკავშირებით.

ავტომობილების საერთო ღირებულებამ შეადგინა 68800 (სამოცდარვაათასრვაასი) აშშ დოლარი (ერთეული ავტომობილის ღირებულება შეადგენს 34400 აშშ დოლარს), რომელსაც მყიდველი დაფარავს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად შესაბამისი კურსით ლარში.

აქტზე ხელმოწერის შემდგომ მყიდველზე გადადის ნასყიდობის საგნის შემთხვევითი დაკარგვის ან დაზიანების რისკი და გამყიდველი თავისუფლდება საქონელთან დაკავშირებული ასეთი რისკისაგან.

აქტის თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ მხარეებს.

მ ხ ა რ ე თ ა ხ ე ლ მ ო წ ე რ ე ბ ი :

გამყიდველი
შპს „იბერია ავტო"
ს/კ: 236098129

ა. ხუციშვილი

მყიდველი
შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა"
ს/კ: 204522436
მინდობილი პირი: ალექსანდრე წივწივაძე
პ/ნ: 01007007738

ა. წივწივაძე
17 ივლისი 2013 წ.